ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის ლაშა ირემაძის, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანიბის შესახებ, ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 10 ნოემბერი 2023 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ზოტის საჯარო სკოლის შენობა.

შეხვედრას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაალ მამალაძე.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ლაშა თოლორდავა - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

ომარი ირემაძე - მერის წარმომადგენელი ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

ამომრჩევლები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე და საკრებულოს რეგლამენტის 124-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობს მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანაგრიშის ჩატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ლაშა ირემაძემ დამსწრეთ წარუდგინა ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ. მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ პროექტებზე. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ქონდა ამომრჩვლებთან (მოქალაქეებთან). მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა. არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების შეძენისა თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის შესაბამისად.

უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში, ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების გაცემის წესის შემუშავებაში, მერის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იღებდა მონაწილეობას სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებაში (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით,

საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ:
ცენტრალური გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რაზეც დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ამასთან დაკავშირებით პროექტი უკვე არსებობს, მიმდინარე წელს დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები და სავარაუდოდ, მომდევნო წელს დასრულდება.
მოსახლეობას გარკვეული პრობლემები შეექმნა, შეშის მოჭრასთან დაკავშირებით, რაც სატყეოს მხრიდან უკავშირდება ტალონებისა და ქვითრების გაცემას.

ლაშა ირემაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი.

ასევე, მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდა მათ, რომ შემლებისდაგვარად დაეხმარება ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თავმჯდომარე